




მობილობის წესი





მობილობა ნიშნავს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლას (გარე მობილობა), ან ერთსა და იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლას (შიდა მობილობა).






გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.

მობილობის უფლების მქონე პირი:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.



პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.

მობილობის წესით მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება.

დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

- ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
- ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



გარე და შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს კოლეჯის დირექტორი.

მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/ მხარდამჭერი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტის სტატუსის, სტატუსის შეჩერებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. განცხადების რეგისტრაციისას მობილობის მსურველს ეცნობება და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.





მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ

პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე, ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ

